* * *

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰონდა:

იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.

აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:

იწვა გალაკტიონი - მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ, შუბლიც სტკიოდა - მაინც მეფურ იერით,

იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.

რაარაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:

იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი -

იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა

და რაც ახლა ხდებოდა - მისი ჟინი მართავდა ...

ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,

იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

უცბად შემოვლებული შეჩოჩქოლდნენ დროშები

უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:

კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა,

”რა ჰქნა?” - უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

”რა ჰქნა?” - ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა.

იმ დღეს ცუდად მენიშნა ეს ამდენი ჭაღარა ...

სდუმდნენ დიდოსტატები,

იდგნენ მხრების კანკალით,

დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.

წინ გვიძღოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,

მიდიოდა ამაყად და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,

იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.

ალაგ სამარხ მიწაში იყო მარტის ამინდით,

ტალახში აზელილი უძველესი კრამიტი.

 რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,

იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ერთი-ორი სხვა ჰყავდა,

ვინც მშობლისთვის იბრძოდა,

მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა.

1968